საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/130
16/01/2023

130-21-2-202301161507

**შპს „აგლომერატს“**
**მის**: ქ. თბილისი, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქ,
კორპუსი 13ბ, ბინა 35
**ელ. ფოსტა:** ni.lezhava@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი თქვენი 2022 წლის 8 ნოემბრის N6284 განცხადება, რომელიც ეხება ქ. რუსთავში ლითონშემცველი მადნის გამოწვა-აგლომერირების ქარხნის მოწყობასა და ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო საწარმოს მიმდებარედ, 500-მეტრიან რადიუსში განლაგებულია სხვადასხვა ტიპის საწარმოები. მათ შორის, საწარმოო ტერიტორიის დასავლეთით, მდებარეობს შპს „ვაგონშემკეთებელი კომპანიის“ ვაგონშემკეთებელი ქარხანა (ს/კ 02.05.03.427; 02.05.03.429; 02.05.03.430); ასევე საწარმოო ტერიტორიის დასავლეთით, მდებარეობს შპს „კონსტრუქციას“ ლითონის კონსტრუქციების წარმოების საწარმო (ს/კ 02.05.03.396; 02.05.03.397; 02.05.03.398; 02.05.03.399), ხოლო საწარმოო ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს შპს „Construction Service“-ის ლითონის კონსტრუქციების წარმოების საწარმო (ს/კ 02.05.03.513).

მონაცემების გადამოწმებით დგინდება, რომ შპს „Construction Service“-ისა და შპს „კონსტრუქციას“ ლითონის კონსტრუქციების საწარმოებსა და შპს „ვაგონშემკეთებელი კომპანიის“ ვაგონშემკეთებელ ქარხანას სამინისტროსთან შეთანხმებული ჰქონდათ ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშები. თუმცა, გზშ-ის ანგარიშში, კუმულაციური ზემოქმედების შეფასებისას აღნიშნული საწარმოების გაფრქვევები გათვალისწინებული არ არის და მხედველობაში მიღებულ იქნა მხოლოდ ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა (125-250 ათასი მოსახლე). შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნულ და საპროექტო ტერიტორიიდან 500-მეტრიან რადიუსში არსებულ სხვა საწარმოებთან (სს „გრდემლი“ და ა.შ.) მიმართებით საქმიანობის განხორციელებისას გარემოზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების საკითხები, რაც, ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ანგარიშისას.

ამასთან, დანართის სახით გიგზავნით ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ მიერ, 2022 წლის 27 დეკემბერს სააგენტოში წარმოდგენილ

მოსაზრებებს და შენიშვნებს, რომლებიც ეხება ქ. რუსთავში, შპს „აგლომერატის“ ლითონშემცველი მადნის გამოწვა-აგლომერირების ქარხნის მოწყობისა და ექსპლუატაციის გზშ-ის ანგარიშს. გაცნობებთ, რომ სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ მიერ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებები/შენიშვნები ზემოაღნიშნულ საკითხთან ერთად გათვალისწინებული უნდა იყოს დამატებითი დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენისას.

გთხოვთ, ორი თვის ვადაში უზრუნველყოთ ყველა ზემოაღნიშნული საკითხის/შენიშვნის შესახებ დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენა სააგენტოში. აღნიშნული საკითხების გათვალისწინებით დაზუსტებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის თაობაზე.

დანართი: ტექსტის თანახმად.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო